ეკა პაატაშვილი

რეზიუმე

გამოცდილება და უნარები: ქალბატონი ეკა პაატაშვილი, როგორც როგორც ჯანდაცვის საერთაშორისო სპეციალისტი, მუშაობს ჯანმრთელობის პოლიტიკისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროექტებზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. მისი პროფესიული კარიერა დაიწყო 2000 წლიდან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, სადაც იგი მუშაობდა 2013 წლამდე. ამ პერიოდში მან შეიძინა მდიდარი პროფესიული და ლიდერობის გამოცდილება ისეთ მიმართულებებში, როგორიცაა ჯანმრთელობის პოლიტიკა, რეგულირება, ხარისხი და სიმძლავრეების განვითარება, დაფინანსება, შესყიდვები და პროგრამების მართვა. ეკა იყო სხვადასხვა სამთავრობო კომიტეტებისა და სამუშაო ჯგუფების წევრი სადაც წარმატებით თანამშრომლობდა დაინტერესებულ მხარეებთან და მონაწილეობდა გადაწყვეტილებების მიღებაში. იგი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ჯანდაცვის სისტემის რეფორმების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

2014 წლიდან, აშშ-ში სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ, როგორც საერთაშორისო კონსულტანტი, ეკა თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორებთან (WHO, UNICEF, Gavi, WB, BMGF, EU, USAID და ა.შ.) და 10-მდე ქვეყნის მთავრობასთან ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოლიტიკის, მდგრადი დაფინანსების, რეგულირებისა და იგი წარმოადგენს საბინის ვაქცინის ინსტიტუტს ევროპის რეგიონში და სიმძლავრეების განვთარების პროექტებში. 2014-2021 წლებში, იგი წარმოადგენდა საბინის ვაქცინის ინსტიტუტს ევროპის რეგიონში და ხელს უწყობდა იმუნიზაციის პროგრამების ადვოკატირებას და მდგრად დაფინანსებას რეგიონის 5 ქვეყანაში. როგორც იმუნიზაციის ევროპის რეგიონის სამუშაო ჯგუფის წევრი, თანამშრომლობდა Gavi-სთან, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციასა და UNICEF-სთან და მონაწილეობდა მრავალწლიანი იმუნიზაციის გეგმებისა და იმუნიზაციის პროგრამების შეფასების საერთაშორისო მისიებში.

ეკას შემუშავებული და ჩატარებული აქვს ტრენინგები იმუნიზაციაში, ადვოკატირებასა და კომუნიკაციაში. იგი ასევე მოღვაწეობდა საქართველოს არასამთავრობო სექტორში, ქმნიდა და ახორციელებდა პროექტებს კარგი მმართველობისა და საზოგადოების ჩართულობის შესახებ.
ამ ეტაპზე, როგორც საერთაშორისო ფონდი „კურაციოს“ კონსულტანტი, ეკა კონსულტირებას უწევს R4D-ის პროექტს და ხელს უწყობს ევროპისა და აზიის 8 ქვეყანას იმუნიზაციის სასწავლო ქსელის განვითარებაში. იგი ასევე ხელმძღვანელობს რეგულირებისა და სიმძლავრეების განვითარების მიმართულებას R4D/USAID-ის მიერ დაფინანსებულ საქართველოს რეგულაციის სისტემის განვითარების პროექტში.

2020 წლიდან, ქალბატონი პაატაშვილი დაკავებულია აკადემიურ საქმიანობით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. იგი ხელმძღვანელობს სადოქტორო კვლევებს და უძღვება 3 მოდულს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანმრთელობის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამაში (ლიდერობა და კომუნიკაცია, ჯანცდაცვის მომსახურების ხარისხი და პაციენტთა უსაფრთხოება, ადვოკატირება და კოლაბორაციული მმართველობა).

განათლება: ქალბატონმა ეკა პაატაშვილმა 2019 წელს მოიპოვა დოქტორის ხარისხი საზოგადოებრივ ჯანდაცვაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2012-2013 წლებში მან წარმატებით გაიარა მაქსველის მოქალაქეობისა და საზოგადოებრივი საქმეების სკოლის საზოგადოებრივი ადმინისტრირების აღმასრულებელი მაგისტარტურის პროგრამა ამერიკაში, სირაკუზის უნივერსიტეტში. 1999 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პრევენციული მედიცინის ფაკულტეტი და აიღო ექიმის დიპლომი.

სამეცნიერო ინტერესის სფეროები / კვლევითი ინტერესები

გლობალური ჯანმრთელობა, ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკა და დაფინანსება; ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხარისხი და რეგულირება; საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოლიტიკა და პროგრამები; ლიდერობა, კომუნიკაცია და ადვოკატირება.

სერტიფიკატები

ანდაცვის მენეჯმენტი და პოლიტიკა, **მაქსველის მოქალაქეობისა და საზოგადოებრივ საქმეთა სკოლა, სირაკუზი, NY, აშშ;** კოლაბორაციული მმართველობა და კონფლიქტების მართვა , **მაქსველის მოქალაქეობისა და საზოგადოებრივ საქმეთა სკოლა, სირაკუზი, NY, აშშ.** საჯარო პოლიტიკის კვლევა, **კანადის საერთაშორისოგანვითარების ბიურო, საქართველო** კონსულტირება კაიზენ-მენეჯმენტში, **AOTS, იაპონია.**